ხელშეკრულება N 3

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ატენი 20 იანვარი 2020 წელი

ერთი მხრივ ს.ს.ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლა (ს/კ 218048404) მისი დირექტორის ნინო ონიაშვილი („შემდგომში შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ „შპს სპექტრი2013“(შემდგომში მიმწოდებელი „) მისი დირექტორის გოჩა შარვაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას. CVP კლასიფიკატორის კოდი 09100000

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტია ;ქვანახშირი“ (შემდგომში საქონელი)

1.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება: „ქვანახშირი CVP 09100000 (10,0000ტონა)

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს:2500 (ორიათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასხადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთა ანგარიშ სწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადებისა და /ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება– ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღები–ჩაბარების წესი

4.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიოდველის მხრიდან მიღება –ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო ონიაშვილი

შემსყიდველი მიმწოდებელი

_____ _____

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე (სსიპ გორის მუნიციპალიტეტი სოფელ ატენის საჯარო სკოლა)

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2020 წლის 25 იანვრის ჩათვლით

6. მხარეთა უფლება – მოვალეობები

6.1შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშკრულებით ნაკისრი ვალბულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%– ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული გარემოებებით.

8.4 ,,ფორს–მაჟორი“ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9. ხელშკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის

შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალის-წინებულ გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შესახებ.

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის მიუღწევლობის შემთვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 20 იანვრიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ

ატენის საჯარო სკოლა

დირექტორი ნინო ონიაშვილი

ს/კ218048404

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა GE53LB0121192904295000

შემსყიდველი

ნინო ონიაშვილი _____

შპს,,სპექტრი2013“

ლიბერთი ბანკი
ა/ა GE97LB0113199140205000

ს/კ419617999

ტელეფონი:595253334

მიმწოდებელი

გოჩა შარვაძე _____

მიღება-ჩაბარების აქტი

წალკა 20 იანვარი 2020 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერმა სსიპ ატენის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლის დირექტორის ნინო ონიაშვილი და მეორე მხრივ შპს სპექტრი 2013-ის დირექტორის გოჩა შარვაძის სახით ვადგენთ წინამდებარე მიღება ჩაბარების აქტს მასზედ რომ მიმწოდებელმა შპს.

(სპექტრი2013)-მა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლას მიაწოდა 10,0000 (ათი ტონა) ტონა ქვანახშირი რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 2500(ორიათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს (დღგ. გარეშე) ხოლო შემსყიდველმა მიიღო აღნიშნული რაოდენობის და ფასის ქვანახშირი.

წინამდებარე მიღება- ჩაბარების აქტი სწორია რაზედაც ვაწერთ ხელს.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის	შპს“სპექტრი2013“-ის
სოფელ ატენის საჯარო სკოლის დირექტორი	დირექტორი
ნინო ონიაშვილი	გოჩა შარვაძე

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

წალკა 20 იანვარი 2020 წელი

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სასკოლო ინვენტარის შეკეთების მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად,შპს სპექტრი 2013-ის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

საჯარო სკოლის დირექტორი /ნ.ონიაშვილი/

მიმწოდებლის შერჩევაში
მონაწილე პირი: /ნ.შამუგია/